საქართველო

ფასი 5 კაპ.

რესპუბლიკა

მთავრობის მოამბე

უოველდღიური გაზეთი

№ 111 | ქუთაისი, 8 დეკემბერი, 1918 წ. | № 111

მთავრობის მოამბე, ყოველ დღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა"

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82

მთელ საქართველოში 8 დეკემბერს მოეწყობა საჯარო გაუიდვა ლატარიის გილეთებისა.

შეიძინეთ ბილეთები და მით, პირად საქმესთან ერთად, დააყენეთ მკვიდრ ნიადაგზე ერის წინმსვლელობისათვის ესოდენ საჭირონი —უნივერსიტეტი და თეატრი.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

კვირას, 8 დეკემბერს დილით, შვამბერგის, მარკოვის, მოლჩანოვის და ისკაკის მონაწილეობით

ᲥᲘᲓᲣᲕᲙᲐ

დასწყისი 12 საათზე. სალამოს—სამანეევას, ზალიპსკის და ორდას მონაწილეობით

ᲚᲐᲙᲛᲔ

დასწყისი საღამოს 7-ხუთვარ საათზე. სამშაბათს, დეკემბრის 10 ალეშკას, მოროზოვის, კანშინის, ორდას და ისეცკის მონაწილეობით „აიდა". ოთხშაბათს, დეკემბრის 11 სამანეევას, ზალიპსკის და ნიკოლსკის მონაწილეობით „გოფმანის ზღაპრები". დასკვნის ორდა. ხუთშაბათს, დეკემბრის 12-ს წვთელი გვარდიის დღე ს] პიესები, II რეგოლეტო, III ბალეტი. ბოერის წარმომდგენელი ს. ეულახოვი.

ქართველ ინჟენერთა და ტეხნიკოსთა ამხანაგობა

იღებს პროექტების და ხარჯთ-აღრიცხვების შედგენას, აგრეთვე ყოველგვარ ტეხნიკურ სამუშაოს, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში.

მისამართი: ტფილისი, ვერის დიდმართი № 12. 1135. 1—1

სიღნაღის სამაზრო ეროგის გამგეობა

აცხადებს, რომ საჭიროა სიღნაღის მაზრის საერობო სკოლების მეთვალყურე და სამაზრო გზების გამგე სპეციალისტი ტეხნიკოსი,

რომელმაც სასურველია იცოდეს სამშენებლო ან წყლის საქმე. მსურველებმა თხოვნები სათანადო მოწმობებით უნდა გამოგზავნონ ქ. სიღნაღში, ერობის გამგეობის სახელობაზედ. თხოვნებში მოხსენებული უნდა იყოს curriculum vitae და თავისი პირობები ჯამაგირისა და სამსახურის შესახებ. 1127 2—1

სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის კანონით (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა" № 85-ს ოქტომბრის 1918 წ.) განსაზღვრული სენაკის მაზრისათვის საჭირო

მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევა

მოხდება სენაკის სამაზრო საერობო კრების მიერ პირველ მორიგ ყრილობაზე. ვისაც სურს კენჭი იყაროს დენიშნულ თანამდებობაზე შეუძლიანთ განცხადება გამოგზავნონ შემდეგი მისამართით: სენაკი, სამაზრო ეროების გამგეობას.

1093 7—4 სენაკის სამაზრო საერობო გამგეობა.

სიღნაღის სამაზრო საერობო გამგეობა

ამით აცხადებს, რომ სიღნაღის მაზრაში ასარჩევია

მომრიგებელი მოსამართლენი

შემდეგ სამოსამართლო უბნებში: 1) სიღნაღის უბანი—ბინა ქალ. სიღნაღში, 2) ახმეტის უბანი—ბინა სოფ. ქე.-მახვაში, 3) შირაქის უბანი—ბინა სოფ. თუქურიში (დედოფლის წყარო), 4) ალვანის გალმა მხრის უბანი—ბინა ს. გარდისუბნში (სოფელი ვორწლოვა), 5) გურჯაანის უბანი—ბინა ს. გურჯაანში, 6) ქიზიყის უბანი—ბინა სოფ. კისისში. ჯამაგირი მომრიგებელ მოსამართლეთა განსაზღვრულია კანონის ძალით. **უბნის მომრიგებელ მოსამართლეს მიეცემა თვეში 900 მან. ურილობის თავმჯდომარეს თვეში—1000 მან.** მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნები მოხდება სამაზრო ერობის დეკემბრის სესიაზედ. ვისაც სურს არჩეულ იქნეს მოსამართლედ განცხადება, დოკუმენტები და curriculum vitae უნდა გამოგზავნოს ერობის სახელზე: სიღნაღი, სამაზრო საერობო გამგეობას. 1095 5—3

სენაკის სამაზრო გამგეობა

იწვევს ორ ექიმს ამბაში და ნაოლალევში

სამუშაოთ. პირობები: ჯამაგირი თვეში 1000 მან., ბინა და სამზავრო ხარჯები. მსურველთა ცნობილ განცხადებანი გამოგზავნონ სამაზრო საერობო გამგეობის სახელზე ქ. ახალ-სენაკში, curriculum vitae-ს და წინანდელი სამსახურის რეფერენციების დამატებით.

1054 7—7 სენაკის სამაზრო გამგეობა.

საკვალდებულო დადგენილება

ქ. ტფილისისა და მისი მიდამოების ღენერალ გუბერნატორის თანახმად გამოცემული წესდებისა იმ ადგილებზე, სადაც გამოცხადებულია სამხედრო წესები

მიუხედავად ჩემ მიერ მიღებულ ზომებისა, რომ ტფილისის ელექტრონულ სადგურებს მისცემოდათ საკმარისი გასათბობი მასალა, ელექტრონულ ენერგიას აღნიშნული სადგურები დღედღის თანაბრად მაინც არ აერიგებენ, რის გამო ქალაქში და უმეტესად მის განაპირა ადგილებში მყოფნი სახელმწიფო დაწესებულებანი და კერძო უწყებების შენობები რჩებიან გაუთბობლად.

ამისათვის ვალდებულად გრაცხ ყველა ელექტრონულ სადგურების პატრონებს, საზოგადოების ინტერესების დასაცავად, მიღონ შემდეგი წესი ელექტრონული ენერგიის გაცემისა:

პირველ რიგში ელექტრონული ენერგიით უნდა ითბობდეს ქუჩები, მთავრობის დაწესებულებანი, ე. ი. სამხედრო და სამოქალაქო უწყებების შენობები, ციხეები, საავადმყოფოები და სხვა.

მეორე რიგში ელექტრონული ენერგია უნდა მიეცეს ქარხნის ბინების გასანათებლად და შემდეგ კი დანარჩენი ენერგია შეუძლიანთ გაუნაწილონ თეატრებს, კინემატოგრაფებს და სხვა გასართობ ადგილებს.

ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევანი დაუყონებლივ იქნებიან ადმინისტრატიულ წესით დასჯილნი ციხეში წელიწად ნახევრის ვადით, ან დაჯარიმებულნი ათი ათასი მანეთით.

ტფილისის და მის მიდამოების ღენერალ-გუბერნატორი ღენ.-მაიორი მაზნიშვილი.

ოფიციალური განყოფილება

განკარგულებანი

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრისა.

29 ნოემბერი, 1918 წ.

№ 5317.

ინიშნება მოქალაქე ვალერიანე დიმიტრის ძე ხახოროვ. საგარეო საქ-მეთა მინისტრის მდივნად, ამა წლის 4ნოემბრიდან.

საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

2 დეკემბერი, 1918 წ.

№ 2146.

ტფილისის ვაჭართა ბანკის შუამდგომლობისა და ბანკის წესდების მე-4 და 6 §§-ისა, თანახმათ ნებადართულია ბანკის შესანახი თანხა გადიდდეს ათი მილიონ მანეთით. გამოცემული იქნება 40.000 აქცია, თითო 250 მ. დადებული ფასით შემდეგ პირობებში:

1. ნახევარი ე. ი. 20,000 აქცია, გამოცემითი ფასით— 335 მან., ეხლავე გამოიცემა, მეორე ნახევარი კი, 1919 წელში.

2. დაბეჭდულია ვადა და პირობები პირველი ნახევრის გამოცემისა.

3. მეორე ნახევრის გამოცემის ვადა და პირობები, ბანკის გამგეობამ უნდა წარუდგინოს დანიშტკ-ცებლად სამინისტროს.

4. ბანკის გახცადებანი იბეჭდება „საქართველოს რესპუბლიკაში".

2 დეკემბერი, 1918 წ.

№ 361.

ამიერ-კავკასიის ზეთის, სანთლის და ქიმიური ქარხნების აქციონერთა საზოგადოების „ტორმასის" დამაარსებელთა შუამდგომლობის თანახმად, შეცვლილ დასახელებულ საზოგადოების წესდება, რომელიც დამტკიცებულია ჩემ მიერ ამა წლის ივნისის 18,-ს მე-6 და 8 §§.

1. ამ საზოგადოების ძირითადი თანხა ოდენდება 2 მილიონიდან 4 მილიონამდე (4000 აქცია 1000 მან.)

2. შემოსული ფული, როგორც აქციების გადასახდი, უნდა შეტანილ იქნეს სახელმწიფო ბანკში.

3. საზოგადოების განცხადებები იბეჭდება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში".

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ყ უ რ უ ლ ი.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსი.

5 დეკემბერი, 1918 წ.

№ 268.

ინიშნებიან: ალექსანდრე ყარამანის ძე ნანეიშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებლად; ერმაე კანცელარიის საქმის მწარმოებლის თანაშემწე სერგო ნესტორის-ძე მიქელაძე საქმის მწარმოებლის თანამდებობის აღმასრულებლათ და ქუთაისის საგუბერნიო სამმართველო საქმის მწარმოებელი მიხეილ დავითის ძე ფალავა საქმის მწარმოებლის თანაშემწედ თავისუფალ თანამდებობაზე ორივენი ამა წლის 9 ნოემბრიდან; ვასილ ერაზის ძე დემიანისკი რეგისტრატორად შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიისა 21 წარსულ ნოემბრიდან; კანკასიის ფრონტის გზათ-ტკეცილის სამუშაოებთა განსაკუთრებულ უფროსის გამგეობის უფროსი მოანგარიშე იონა გიტოს ძე კიზირია ანგარიშთა მოხელედ შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიისა ამა წლის 8 ნოემბრიდან; ნიკოლოზ ბობოხიძე, ლადიმერ ჩოჩია და დაშვებული მაცადინეობაზე შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიაში ნებით მოსამსახურეთ სოფიო კოჩიაშვილი-კანცელარიის მოხელეებათ იმავე კანცელარიისა,ამათში ბობოხიძე, და კაჩიაშვილი ნებითი მოსამსახურეებათ.

დანიშნულ არიან: საქმის მწარმოებელი შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიისა რიჩარდი იგნატის ძე ლორგა შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგად განყოფილების უფროსის თანამდებობაზე ამა წლის 9 ნოემბრიდან განყოფილების უფროსის თანამდებობის ჯამაგირით.

დათხოვნილ არიან: რეგისტრატორი შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიისა დავით ტიმოთეს ძე თავერიძე იმავე კანცელარიის მოხელე ლადიმერ გიორგის ძე ჯაბუაშვილი თანახმად თხოვნებისა თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან 20 ნოემბრიდან ამა წლისა.

მინისტრის მაგიერ გ. მახარაძე.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრისაგან.

6 დეკემბერი, 1918 წ.

№ 53.

განთავისუფლებულია: თანამდებობიდან, თანახმად თავისის თხოვნისა, ტფილისის ოლქის სპატარი მომრიგებელი მოსამართლე მიხეილ პაველის ძე გაკელი.

იუსტიციის მინისტრი შალვა ალექსიმესხიშვილი.

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში.

სახალხო გვარდიის დღე.

ამა წლის 7 დეკემბერს თანახმად შრომის სამინისტროს მოხსენებისა, მთავრობამ დაადგინა: სახალხო გვარდიის პირველ შეიარაღებულ გამოსვლის აღსანიშნავად, რომელიც მიმართული იყო ჩვენი ქვეყნის ბნელი ძალების და ანარქიის წინააღმდეგ, რაიც გამოიხატა ტფილისის სამხედრო არსენალის აღებაში 12 დეკემბერს 1917 წელს და რამაც მტკიცედ საფუძველი ჩაუყარა ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას—გამოსაცხადებულ იქნეს ამა წლის „სახალხო გვარდიის დღე“ 12 დეკემბერს უქმე დღეთ მთელ რესპუბლიკაში.

მედიკამენტების გაზიდვის შესახებ.

ადგილობრივ მთავრობამ მიმართა საქართველოს მთავრობას თხოვნით, ნება დართოს საქართველოში მედიკამენტის შეძენისა აღებრგიზებაში გასაზიდად. მედიკურ-სანიტარულმა განყოფილებამ მიმართა აფთიაქების კავშირებს შეკითხვით: შეიძლება თუ არა გაიზიდოს ზემო აღნიშნული მედიკამენტები თუ არა? თავის მხრით მიიღო შეძლება, რომ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან მედიკამენტების გაზიდვა ყოველდ შეუძლებელია და აფთიაქების კავშირმა მთავრობას მიმართა თხოვნით, რომ ასეთი მედიკამენტების გაზიდვა აღკრძალულ იქნეს.

გზათა სამინისტრო.

შეშის შესყიდვის შესახებ.

გზათა სამინისტრომ შემდეგი ტელეფონოგრამა გაუგზავნა საქართველოს რკინის გზის უფროსს: „გზათა სამინისტრომ არ მოუპოვება არც თავისუფალი კრედიტები, არც ნაღდი ფული, ასე რომ თქვენი თხოვნა 100,000 მანეთის გადმოცემის შესახებ რეკვიზეციით მომხდარ შეშის შესასყიდად დაკმაყოფილებულ ვერ იქნება.

შეშის რეკვიზიციის გამო და შეშის საკითხი.

სამხედრო სამინისტროსაგან გზათა სამინისტრომ მიიღო შემდეგი ტელეფონოგრამები: 1) „სად. თელავში თვითნებითი რეკვიზიცია ხდება სამხედრო შეშის. გთხოვთ სასწრაფოთო მოახდინოთ განკარგულება ამნაირ თვითნებობათ დაკავებული შეშის ჩვენთვის გადმოსაცემათ და დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემათ; 2) სახელმწიფო რკინის გზები, მიუხედავად თვისი პირობისა სად. ტფილისზე 61 ვაგონ შეშის ჩამოზიდვის შესახებ დღემდის არ ჩამოუტანიათ, ისე რომ ჯარები რჩება უსურსათოთ, უბოროტოთ და გაუთბობელთ და ზედმეტი ის არის, რომ მდგომარეობა გამოუკვეველია. გთხოვთ ჯერემთის და თელავის სადგურებზე შეშის დასატვირთათ შესაფერი ვაგონები დანიშნოთ.

მაზუთის გამოგზავნა ბაქოდან.

გზათა სამინისტროს საექსპლოატაციო ნაწილის უფროსი ატყობინებს გზათა მინისტრს შემდეგს ბაქოდან: „დღეს 6 დეკემბერს იგზავნება 50 ქვაბი მაზუთი. ამაზე მეტი არც ქვაბი და არც ორთქლმავალი საქართველოს რესპუბლიკისა ბაქოში არ არის. საჭიროა მიეცეს კიდევ ერთი წყება მატარებლისა 50 ქვაბით ორთქლმავალებით, ვინაიდან მოძრაობა მოწესრიგებულია და შეფერხება აღარ იქნება ნავთის ბაქოდან გამოგზავნისა. ნავთსადენი ამ დღეებში დაიწყებს ნავთის ჭაჩვას ბაქოდან ბათომამდე ჯერ მოკავშირეთათვის და შემდეგ ჩვენთვის. კატასტროფის წარმომადგენელი არ ჩამოსულა დღემდე ბაქოში.

მაზუთის და ნავთის განაწილება.

დროებითი ბიუროს, რომელიც შეიდგა რიც ნავთის ნაწარმოებთა განაწილებლად 5 დეკემბრის სხდომაზე დაადგინა: ის 36 ცისტერნი მაზუთი და 4 ცისტერნი ნავთი დანაწილებულ იქნას აშკარად: სახელმწიფო რკინის გზებს 23 ცისტერნი, კახეთის რკინის გზას ორი ცისტერნი, სხვა მოსმომარეებით 11 ცისტ. ამ რიცხვში: თვალაის ქალაქის წყალსადენს 5 ცისტ., ქალაქს გასანათებლად 1, მასზე მეტ ნავთის საწარმოებლებათა და სამხედრო უწყების მოთხოვნებისათვის 1, მექანიზნეთა და მეფაბრიკეთა მოხოვნათვის 4, ამ რიცხვში 2 „სვეტის“ ქარხანას და 2 „შირვანისას“ ნავთი შემდეგნაირად უნდა დანაწილდეს: სამხედრო უწყებას „სვეტის“ ქარხანაში გადასასხმელად 1 ცისტერნი, საქართველოს სახანო გზებს 1 ცისტ., სად. ქილაკის, სიღნაღის ქალაქს თვითმართველობას 1 ცისტ.: ჰიათურის სადგურს—შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ერთი ცისტერნი.

გვარდიელების დღე.

რკინის გზის პროფესიონალურ კავშირის თავმჯდომარის თანახმად შემდეგი დაუბაზეს კავშირის ყველა ლიანდაგის წევრთ და უფროსთ: 12 დეკემბერი საზეიმო დღეა სახალხო გვარდიისა, ზეიმში მონაწილეობას იღებს მთელი დემოკრატია საქართველოსი. ამ დღეს დილის 9 საათზე ტფილისიდან ფოთში ხოლო 13 უკან დაბრუნებით მიემართება „გმირთა მატარებელი“ მორთული ყველაფერ გრეხილებით და კარვებით, რომელსაც უნდა აღმოუჩინოთ განსაკუთრებული დახმარება და შეხედრა. კავშირის ყველა ორგანიზაციებს ვიძალებ მიიღონ ამ ზეიმში მხურვალე მონაწილეობა ადგილობრივ სახალხო შტაბებთან ერთათ. საჭიროა ყველა სადგურების მორთვა ალამებით და თუ მოსახერხებელია ყვავილ-გრეხილებით. ადგილობრივ თანხებიდან. ყველა სადგურების ბუფეტები და დუქნები მთელ ლინიაზე ამ დღეს თვის ნავაჭრის მთელი შემოსავალი გარდა სანოვაგის ხარჯებისა გადასდონ გვარდიის სასარგებლოთ. შეიძლებისა პირობით კერძის მიღება მსახურთა მიერ ბუფეტ-დუქნებიდან ამ დღეს აკრძალულია. ამ ბრძანების სისრულეში მოყვანა ევალება ადგილობრივ კომიტეტებს, რომელთაც ყველა უფროსებმა უნდა აღმოუჩინოთ ყოველგვარი დახმარება.

ინგლისის მისია

ინგლისის მისიის ჩამოსვლა.

ინგლისის მისია 6 დეკემბერს ბათომიდან ტფილისში ჩამოვიდა.

ინგლისური პრესის ცნობა.

(სატ. დეპ. სააგ.)

ვილჰელმის პასუხის გება.

ინგლისის ყველა გამოჩენილი იურისტი იმ აზრისაა, რომ ბელგიაში შეჭრა და ომის წარმოების საშუალება დანაშაულათ უნდა ჩაეთვალოს იმპერატორ ვილჰელმს და პასუხისგებაში უნდა მისცენ.

ჰელ-ჰოლანდის შესახებ.

ჩერჩილმა დენდში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა: საკმარისია მას გადასწყვიტა, რომ საჭირო არ არის ჰელ-ჰოლანდი ნეიტრალიზაციის.

რკინისგზის ნაციონალიზაცია.

მთავრობამ გადასწყვიტა რკინის გზების ნაციონალიზაცია მოახდინოს.

სამხრეთ-ლეთ მიცემა.

ოკლანდში გენერალი (?) განაცხადა, რომ ენვერ ფაშა, ბულგარეთის და ავსტრია-ჰუნგარეთის ყოფილი მთავრობის წევრნი სამართალში უნდა იქნენ მიცემულნი და თუ დანაშაული დამტკიცდათ სიკვდილით უნდა დაისჯნენ.

გერმანიის ახალშენების საკითხი.

პენერელისმა ბრისტოლში სთქვა, რომ გერმანიის ახალშენები ინგლისის ომსპრის უნდა შეიერთოდეს. სადაც კი ახალშენის მცხოვრები შეიკითხენ, ყველგან ამ აზრის იყვნენო.

ჩაძირული ნავები.

საადმირალოსაგან მიღებული ცნობით, 360 გერმანიის წყალქვეშა ნავიდან 200 ნავი დროებით ზავის შეკვრამდე ჩაიძირა.

სამშვიდობო-დელეგაციის მეთაური.

სამშვიდობო დელეგაციის მეთაურად თვით პრეზიდენტი ვილსონი იქნება.

მაკენზენის არმია უნგრეთში.

ბუდაპეშტიდან დეპეშებით იუწყებიან, რომ მაკენზენის არმია 170000 კაცისაგან შემდგარი ფრანგების მოთხოვნილების თანახმად ჰუნგრეთში იქნება გადაგზავნილი.

ვიურტემბერგის მეფე.

შტუტგარტიდან მოსული ცნობის თანახმად ვიურტემბერგის მეფე ტახტიდან გადადგა.

გერმანიის მდგომარეობა.

სტოკჰოლმიდან იუწყებიან, რომ გერმანიაში არავითარი საშიშროება არ არის შიშისა მხრივ და ყოველივე ცნობა გერმანიაში შიშების შესახებ გაზვიადებულია და სამხედრო ენა მიზნით, რომ მოკავშირეებში გერმანიის შებრალება გამოიწვიონ.

ტიროლში.

გრაცბრუნის ჯარი ტიროლში შევიდა.

გერმანული პრესის ცნობა.

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

ევაკუაცია.

ლიმოსავლეთის ოლქების ევაკუაცია გრძელდება. ლეონიაში წვენი ჯარი ამ ეამათ დვინის იქით გადადის. გერმანიის ჯარები სვასტოპოლიდან ნიკოლაევში ზღვით მიდის, ოდესა უკვეს ჯარები გაიდა. შეთანხმების სახელმწიფოთა სმზღვაო ძალა სევასტოპოლში იმყოფება.

კრონპრინცი რუპრეხტი.

ბავარიის სამეფოს ცენტრის პარტიის მიუხედნის ორგანო სწერს, რომ ბავარიის კრონპრინცი რუპრეხტი დროებითი ზავის ჩამოგდების შემდეგაც განაგრძობდა თავის ჯარით სვლას და ამ ეამით ბავარიის ერთ-ერთ ძველ ციხეში იმყოფება. ყოფილი ბავარიის კრონპრინცი ბევრ პოლიტიკურ და სამხედრო საკითხებში და განსაკუთრებით ზავის ჩამოგდების საკითხში, არ იზიარებდა არმიის მთავარსარდლების აზრს. მაგალითად კრონპრინცი, განსაკუთრებით ამ წლის პირველ თვეებში, ზავის მომხრე იყო და ამის შესახებ კანცლერსაც და მეფესაც სწერდა. შემდეგ გაზეთი იუწყება იმ ოპოზიციის შესახებ, რომელსაც კრონპრინცი აწარმოებდა ლიუდენდორფის წინააღმდეგ, როდესაც ელზას-ლოთრინის ფრონტის გერმანული შტაბის უფროსს ემორჩილებოდა და როცა არხზე ბრძოლა დაიწყო, გენერალურ შტაბში გაჩხვნა სასწრაფო მოთხოვნილება, რომ ლორენში სამხედრო მოქმედება განსაზღვრულიყო თავდაცვით და ჯარი ჩრდილოეთით გადაეყვანათ, რადგან ხაზის გარღვევა... (დაშახინჯებულია)... შეიძლებელი იყო. ლილის აღება მისი საქმეა. ზაფხულიდან ყოველგვარი დამოკიდებულება კრონპრინც-რუპრეხტსა და ლიუდენდორფს შუა შესწყდა.

რუსეთის მდგომარეობა.

9 ნოემბერს დაბრუნებული გერმანიის საეჭრო კომისიის წევრი, რომელიც პეტროგრადში და მოსკოვში იყო აღწერს რუსეთის უმიდრო მდგომარეობას. კომისიის წევრის სიტყვით საბჭოთა მთავრობა ანგარიშს უწევს იმ გარემოებას, რომ ახლო მომავალში მოკავშირენი მას გადაასყენებენ, ამიტომ ბოლშევიკურ წრეებში სულიერი განწყობილება დაეცა და მთავრობის წევრთა გამოსვლა... (გაუგებარია)... შეიცილაში გასაქცევათ... სურსათი ვერ ნაწილდება სისტემატიურათ და წესიერად, ყველგან უმუშევრობა. სიღატაკე და შიმშილი. რუსეთში დაბრუნებული სამხედრო ტყვეები ვერ პოულობენ (გაუგებარია)... ისინი შიმშილს განიცდიან და უბინაობის გამო ტყვეებში იყვნებიან. ორშა-მოსკოვის რკინის გზის სადგურებზე ერთ დღეს გაიყინა და მოკვდა 80 ყოფილი სამხედრო ტყვე. ამით ახსნება, რომ ომისაღმოსავლეთ გერმანიაში განთავისუფლებული რუსი სამხედრო ტყვეები ისეე უკან ბრუნდებიან, მიდიან სამშობლოს მიმწოდებლობათან და ღუხდებიან, რომ არ შეუძლიათ რუსეთში დარჩენა, იქ გამეფებულ გაპრანვების გამო და თხოულობენ ისევ სამუშაოზე ჩაირიცხვას.

საზავო პროგრამის ვამო.

ეხლა, როცა მოკავშირეთა, განსაკუთრებით საფრანგეთის მთავარ-სარდლის ფოშის მიერ დროებითი ზავის პირობათა ცხოვრებაში გატარებამ, გერმანიის ხალხს გაუცურუა იქიდან, მომავალ ზავის პირობების ყველა პესიმისტურათ უყურებს. ინგლისური გაზეთი „ლიბერალ ნიუსპეიბერი“ ანგარიშს არ უწევს გერმანიის უსაზღვრობას და მოითხოვს ისეთ თანხას, რომლის გადახდა მას არ შეუძლიან. ეს მდგომარეობა აუშფოთებას იწვევს გერმანიის ხალხში და ეკითხება, სად გაჰრა ვილსონის პროგრამა, რომელსაც დროებით ზავის ჩამოგდებამდე მომავლ ზავის საფუძველათ სთვლიდენ. ვილსონის პროგრამის 24 პუნქტიდან არც ერთი არ განხორციელებულა ისე, რომ ცვლილება რა შეეტანათ. შეთანხმების სახელმწიფოთა მოღვაწენი ანგარიშს არ უწევენ ვილსონის პროგრამას.

სატეხნიკო დარგი

ტეხნიკოსთა კრება.

ოთხშაბათს, 11 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, ფრეიტინის ქუჩაზე, № 11, შესდგება ქართულ ტეხნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც გამგეობა მოხსენებას გააკეთებს წლიურ სამოქმედო პროგრამის შესახებ. საჭიროა ყველა წევრი დაესწროს.

საქართველოს შესწავლა.

ქართულ ტეხნიკურ საზოგადოებამ მიზნათ დაისახა ჩვენი ქვეყნის კამოკვლევის მიზნით შეისწავლოს ყველა ის მასალები, რომელიც დაწერილია სხვა და სხვა დაწესებულებებში. მთავრობისაგან ამის ნებართვა უკვე მიიღეს.

ქალაქის გამგეობაში.

მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევა.

ხვალ ქალაქის საბჭოს კრებაზე ქალაქის 22 მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევნებია დანიშნული. საბჭოს სარეკომენდაციო კომისიამ ამ თანამდებობის აპლიკაციები შესწავლა 66 მოხოვნილთა შორის შემდეგ კანდიდატება ამოირჩია: ისაკ ავშაროვი, გრიგოლ სულიეფი, ივანე ხატისოვი, იოსებ ბასაკოვი, ალექსანდრე ლეგენზეფინი, სტეფან თაქუეფი, ისაკ ხალიფანი, ვლადიმერ ვეწაძე, მემნოზ ჩხეიძე, მარიამ ჩხეიძისა, გიორგი მაჭავარიანი, გიორგი მელიქიშვილისა, სიმონ შახბაზი, სერგეი დანდუროვი, აპოლონ ჩაჩავა არისტო კიკნაძე, თეოდორე პაროშინი, ალექსანდრე დადურია, ილია ჭყონია, მიხეილ სარაჯიშვილი, ივანე ბიმშიაშვილი, რომან მოლოსტოვი, აბრამ ხანდამიროვი, მიხეილ სოსიანცი, გიორგი შოშიაშვილი, ალექსანდრე მირაქოვი, კონსტანტინე ცვირაძე, კონსტანტინე ივეროსშვილი, ნიკოლოზ ფალავანდოვი, გრიგოლ ფოკაშვილი, ცუტატე მირიანაშვილი, რომლის ბეგთაბეგოვი, ალექსი მაჩაბლიშვილი, ავეტიქ ტერ-მარტირუზოვი, პაველ არარატოვი, გრიგოლ იარალოვი, პეტრე ფავლენოვი, მიხეილ ტერიუეი, პეტრე სარქისოვი, ევგენი გაბუნია, პავლე მოსუეშვილი და სოლომონ ერისთავი. დასახელებულ კანდიდატებიდან საბჭო კენჭს ყურის მხოლოდ მათ, რომელნიც საბჭოს კრებამდე გამოუცხადებენ თავის საქართველოს ქვეშევრდომობაში შესვლაზე.

დახმარება.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა სახალხო გვარდიის უმთავრეს შტაბს გადაეცეს 1000 მან. გვარდიის მოკლულ ოფიცრის ბერუელავას მამისთვის შემწეობის აღმოსაჩენათ.

კოოპერატიულ დუქნებში.

ქალაქის 18 სასურსათო დუქნები, რომელნიც ქალაქის გამგეობამ კოოპერატივების კავშირს გადასცა განაწილებულია ოთხ დიდ კოოპერატივების შუა, რომელნიც იმ დუქნებს თავიანთ დუქნების განყოფილებათ გადაქცევენ და შაქრის გარდა ხორცს, ბოსტნეულს და სხვა სანოვაგესაც გაჰყიდიან.

გაკვეთილების განაწილება.

ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა სასწავლებლების საბჭოს მიერ შედგენილი განაწილება მასწავლებლებთა შორის ქართული ენის გაკვეთილებისა პირველ დასწყის რუსულ და ოსურ სასწავლებლებში.

შაქრის ფხვნილის ჩამოტანა.

ტფილისის კოოპერატივების კავშირმა უკრაინიდან მიიღო ექვსი ვაგონი შაქრის ფხვნილი. ორი ვაგონი უკვე ტფილისშია ჩამოტანილი და ოთხი ვაგონი გზაშია ფოთიდან გამოგზავნილი. შაქრის ფხვნილს უსასურსათო ბარათით გაჰყიდიან 7 მ. 50 კ. ბეგრადკას.

ჯამაგირის მომატება.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა ქალაქის სადენინეკეთო კაშრის და გადამდგ სატკივრით ავათმყოფებს ქსენონით ოთხ ვაგონი მასალახურების ჯამაგირები მოემატოს 150 მან. თვეში. აქამდე მათ ეძლეოდათ კვერაში 305 მან. და ქსენონში 275 მ. თვეში ჯამი-სმით და შინით.

დათხოვნილთა შესახებ.

ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, იმ მოსამსახურეებს, რომელიც შტატის შემცირებისა გამო დათხოვნილ იქნებიან სამსახურიდან სალიკვიდაციო ფული სამი დღის განმავლობაში მიეცეს.

შტატის შემცირება.

სასურსათო დუქნების კოოპერატივების კავშირების გადაცემის გამო ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა თავის სასურსათო განყოფილების შტატი შეამციროს და $^2/_3$ მოსამსახურენი სამსახურიდან დაითხოვოს.

ქალაქის შემოსავლის წყარო.

ქალაქის გამგეობამ მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა მას გადაეცეს ნახეარი შემოსავალი ხაზინაში ღვინოზე დაწესებულ იმ გადასახადისა, რომელიც შემოვა ტფილისის ტერიტორიაზე. თუ ეს შეამდგომლობა მთავრობამ მიიღო, მაშინ ქალაქს წელიწადში ექნეს მილიონამდე შემოსავალი მოსახტება.

დანიშვნა.

ღვინით ვაჭრობის წარმოების კონტროლიორათ ქალაქის გამგეობამ ი. ი. პლოტკინი დანიშნა.

მე-4 უმაღლეს დაწყის სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლათ ქალაქის გამგეობამ მ. გ. სირაძე დანიშნა.

გათშმი

ექსი თვე არ მენახა ბათუმი და მეც მთლად ვერ ვიცანი. ბევრი ახალი ნაგებობა გამოჩენილა, ბევრი ძველი დანგრეულა, ბევრი ხეები გაჩეხილა, ბევრი ახალი დარგულა, ბევრი ბალახი ამოსულა, ბევრი ბალახი ამოხნულა, ბევრი ხალხი მოსულა, ბევრი ხალხი წასულა, ბევრი ხალხი დარჩენილა, ბევრი ხალხი დაბრუნებულა, ბევრი ხალხი დაბრუნებულა, ბევრი ხალხი დაბრუნებულ

დღეს, 8 დეკემბერს ლაშქარობის დღეა.

მას ალყა შემოარტყეს საქართველოს საზღვრის ყარაულის და სამაგო მოხელეები შეუდგნენ თავის მოვალეობას. თითეული მგზავრის ნივთები გულმოდგინედ იქმნა გაჩხრეკილი, რის შემდეგ მგზავრს შეეძლო შესულიყო სადგურის შენობაში. გაჩხრეკის შემდეგ მატარებელი დაიძრა. ჩვენ ყველას ბილეთი გვქონდა ნატანებიდან ქობულეთამდე, რაშიც ორი მანეთი ფაიზს, მიუხედავათ ამისა, როგორც კი დაიძრა მატარებელი, ოსმალოს კონდუქტორმა იმ წამსვე შეკვთავაზა თავისი ბილეთი შემდეგი თურქულ-რუსული წარწერით: „Оттоманская Кавказская жел. дор. граница — Чурукъ-су“ 1 р. 44 коп. მიუხედავათ ალნიშნულ ფასისა გადაგვახდევინეს ორი მანეთი, და როცა მე განსხვავებაზე მიუთითე, კონდუქტორმა ღიმილით მითხრა: ბილეთზე შეცდომააო. იმავე კონდუქტორმა, რომელსაც ორივე ჯიბე სავსე ჰქონდა ჩვენი რუსული ქარხნულ ვაზეთებით და თარჯიმანის შემწეობით დამეკითხა, როცა მე უარი ვუთხარი ყიდვაზე, უკმაყოფილო სახე მიიღო და თავისებურად რაღაცა მითხრა. ჭოლოხის ხიდიდან იწყება საზღვარი, ერთ მხლოში ქართული დროშა აღმართული და ქვეშ ყარაულია, მეორეში—ოსმალეთის დროშაა. შუაზე საზღვარია. გადავედით ხიდს თუ არა, მე იმ წამსვე ვიგრძენი თავი ყოფილ პრძოლის ველზე, ტყეებისაგან დაბრეცილი „ბუდეა“. ტელეგრაფის დაწყებული მავთულები, წაქცეული ბოძები და დამხობილები ხეები—ეი სურათი ბრძოლისა.

ხიდის გაღმა მინდვრებში სჩანდა ოსმალოს აურიცელი ლაშქარი, რომელსაც გულმოდგინედ ავაკაზებდენ ოფიცრები. დისციპლინა უსასტიკესია. მცირე დანაშაულისთვის ასკერს მოელის ცემა ჯობით. ყოველ უხტარ ოფიცრობას ხელში ჯობი უჭირავს. შაშისაგან ცოცხალ მკვდარი ასკერი გადაქცეულა უგნო მანქანათ უფროსის ხელზე. ერთმა ოსმალოს ოფიცერმა ამაყათ დაიკვეხა: „ჩემს ასკერს რომ ვუბრძანო მატარებელს დაუწევსაო“. მერე გვარიანათ. სწორედ დაახასიათა ჩვენი ჯარი და დასძენა ბოლოს დარბაისლურათ: „უდისციპლინო ჯარი ვერ იომებსო“. ამ შუსაიფში ქობულეთსაც მოუახოვნდით. მაზვავებს აგვართვეს ჩვენ ნებართვის ქალაქში და გვითხრეს ბათუმში მიაკითხეთ სადგურზე წასვლის წინა დღითო.

ჩაეიდით თუ არა ქობულეთში, ჩვენ ყველა წაგვრეკეს ნავიის საქმაჩვ შენობებისაკენ—სადაც აგვწერეს—და ერთი დღე და ღამის“ კარანტინი“ გაგვიკეთეს. ღამაზი შენობები თვისი მშვენიერი ბაღით ბარაკათ არის გადაქცეული. სუფთა თოახებში იყო იატაკზე დაგებული ლეგრები, რაზედაც ჩვენ უნდა მოგვესვენა. სისუფთავემ და ლაზათიანმა მოპყრობამ ჩვენ გაგვკვირა. დაწოლილ დრას მოგვცეს ნება და ჩვენც თხებივით მოვეფრინეთ ქობულეთის დუქნებს. საღამოს 10 საათზე ბათუმში ვიყავით. მეორე დღეს მე დილითვე შევუდექი ჩემს საქმეზე რბენას, თან ვეკვირდებოდი არე-მარეს. ბათუმი გამოცვლილა.

ქუჩებში სამარისებური სიჩუმეა. ძლიერ ცოტა მოძრაობის გამო ქუჩები ბალახით არის გადაკრულები. წეს-ჩიგი და სისუფთავე ყველგან სჩანს. მშვენიერი ბათუმის ბაღი არის სუფთად შენახული, მაგრამ იდუმალი სიჩუმით არის მოცული. ყველა ვიტრინა შეუძლიან მიდის ბათუმიდან, ნამეტურ ქარხნელები. ქალაქში შედარებით იაფობაა ჩამოვარდნილი. საჭმელი ყველაფერი იშოვება და იაფიც, მაგრამ გამოტანა არ შეიძლება.

მაღაზიები იღება დილის 4 საათზე იკეტება ღამის 10 საათზე. რესტორანები და კაფეები სავსეა ოსმალოს ოფიცრებით. მაგარი სასმელები თავისუფლათ იყიდება. სამაგიეროთ არც ერთი გაზეთი არ გამოდის, ხანდისხან უშვებენ დებეშებს, სადაც ცენზურის გამო ვერა ფერს გიგებს კაცი. ამგვარათ მთელი საზოგადოება ბურუსით არის მოცული და ხმებით იკვებება.

იყო გავრცელებული ხმა—ოსმალეთი ბათუმს სცილობსო. ამის გამო უსაქმოდ დარჩენილი და შიმშილობაში ჩავარდნილი რუს მოხელე ოფიცრობა ვერ მალავდა თავის სიხარულს და აღტაცებით მოელოდა ალეკსეევის ჯარს.

ბათუმის სადგურზე ხშირად ვხედავდი ეგალნებს დაშლილი ჭიმის ზარბაზნებით დაკვირთულს, რომელსაც ნავთ-სადგურისკენ მიაქანებენ, ალბად ხტამბოლში აგზავნიდნენ. რკინის გზაში და ყველგან თურქული აღმინისტრაციაა, რომელსაც არც ქართული და არც რუსული არა გაეგება რა. არსად აბარელი მოხელე არ სჩანს. ალბათ არ ენდომებენ.

„სოც.-დემ.“.

ქრონიკა

○ დღეს, დემოკ. ოლ. არს. ქარ. სახ. წარ. მმარ. წრე მართავს მორიგ წარმოდგენას მსახიობ პ. ფრანგიშვილის მონაწილეობით. წარმოდგენილი იქნება ორი დარაჯი დრამა 3 მოქ., თარგ. ფ. ქორიძისა. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

○ დღეს, დღისით 12 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის (ქართული უნივერსიტეტის) შენობაში მოხდება საქართველოს სასტრორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა საზოგადო წლიური კრება. განიხილვენ: ა) საზოგადოების მოქმედების ანგარიშს 1917 წ. ბ) 1917 წლის შემოსავალ-გასავლის წლიურ ანგარიშს, გ) ხარჯთ-აღრიცხვას 1918 წლისათვის და დ) სარედაქციო კომისიის აქტს. კრება გარეშეთაც შეიძლიათ დაესწრონ.

○ ვარდენ ძიძიშვილი მთავრობის ნებართვით გაემგზავრა თელავში, სადაც ამ მაზრის ყველა სამმართველოებში ადგილობრივი კომისრების და ხალხის გუღშემატკივარი ინტელიგენციის შეწევობით მოახდენს კრებებს და ურჩევს ხალხს ეკ მოემხრონ ძველ მაგნე ზნე-ჩვეულებების და მისგან გაშორებული ხარჯების გადაგდებას.

○ შაბათს, 14 დეკემბერს 1918 წ. (ახალის დროით) მიხეილ კავსაძის გუნდი მართავს კონცერტს ლექციით ქართულ თეატრში. გუნდის მიერ შესრულებულ იქნება რატელის სიმღერებიც და სახალხო კილოებიც.

ქრონიკა

○ თანახმად მთავრობის დადგენილებისა, მიმწოდებელ კომიტეტის ქონება უნდა გადაეცეს ერობებს. ამ მიზნით ქუთაისში ჩამოვიდნენ ცენტრალურ მიმწოდებელ კომიტეტის წარმომადგენელები, რომლებმაც ქუთაისის ერობის და საგუბერნიო აღმ. კომ. წარმომად. გამგეობასთან ერთად შეიმუშავეს წესები ქონების გადაცემისა. თანახმად ამ წესებისა ქონების მიღება და დაცვა გადაეცემა ქუთაისის ერობას, რომელიც ჩაბარების შემდეგ მოვალეა მთელი ქონება გაანაწილოს გუბერნიის ყველა ერობათა შორის. მონაწილეობას მიიღებენ გუბერნიის ყველა ერობების წარმომადგენლები.

○ 29 ნოემბერს შესდგა მომრიგებელ კამერის კრება. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები: ნარჩომაშვილის და გუგუნავას საქმე, ლადიძის და პოლტაკოვსკის საქმე, მიმნქანების და ელექტრო-ტენნიკების მოთხოვნილება, სვანიძის და დამშვენვიე საზოგადოების საქმე, ბესარქისოვის და ლოკშის საქმე, და ორგანიზაციული კითხვები. ყველა კითხვებზე იქნა მიღებული რეზოლუციები.

○ 1 დეკემბერს, დამის 10 საათზე სასტუმროო „გრანდ-ოტელთან“ მთვრალმა ოფიცრებმა გენო ნემიშვილიძე და დათო ჟღენტმა ასტეხეს დიდი ხმაურობა და მეეტლეს მოკვლა დაუპირეს, მილიციონერებმა ოფიცრები დაატყვევეს.

○ ცენზაციური სადგილ-მამლო გამგეობის წარმომადგენელი იბარებს ანანოვის მაზელებს ამის გამო ანანოვის შუაზე წარუდგენენ შემდეგი მოთხოვნილება: რომ მათ ნახსნაური წლები ჩაეთვალოს ახალ მწარმოებელთან, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიეცეს სალიკვიდაციო. ამის გამო შრომის კომისართა ვ. ურუშაძემ გამართა მოლაპარაკება ძველ და ახალ წარმომადგენლებთან მაგრამ ორივე ძველ და ახალ წარმომადგენლებმა ამ მოთხოვნილებაზე უარით უპასუხეს.

○ აბასთუმნიდან ჩამოსულებმა გადმოგვცეს, რომ ზეკრის უღელტეხილის გზაზე ზვირია ცრცვა—გლეჯა. სცარცვავენ განსაკუთრებით მიმავალ და მომავალ მოგაპურებს.

○ დაინიშნა გუშაგების კომისრის განკარგულებით სოფ. ვანის სავაჭროყოფის უფროს ფერშალათ ვარლამ მეგრელიშვილი. ამავე საავადმყოფოში ბებია ქალის თანამდებობაზე დაინიშნა ე. აბდალაძისა.

ქრებალოს ორ მაზრათა შუა სასოფლო საავადმყოფოს ბებია ქალის თანამდებობაზე დაინიშნა სოფლის მგზლაძისა.

○ იმერეთის საპარქიო სანთლის საწყობის გამგემ, მღ. ელ. მაჭარაშვილმა, რომელმაც ამ ეროი კვირის წინათ მოიარა სოფელი ქორბოფლი (სახსირის რაიონი) მოხსენებად წარუდგინა გუბ. კომისარს გრიგოლიას და სთხოვა მას, რომ კორბოფლის და ლიჩის საზოგადოებებს მცხოვრებო, რომელთაც მფსრს ავლებს ახალი აგადმყოფობა, „ისპანკა“ მიაშველოს როგორც ქმედ-შრომება, ისე საჭირო წამლები. გუბერნიის კომისარი დიდი უურადღებით მოეკიდა მოხსენიებას და აღუთქვა სასწრაფოთ ყოველგვე ღონის ძიების მიღება.

○ წასულ კვირაში მონადირეებს ძველი ლაგირის მახლობლათ ტყეში უნახავთ ადამიანთა გვამები მიწა წყაროლი.

○ ამ ერთი თვის წინად დაიკარგა ებრაელი მანუას ბუზიაშვილი. სხენებულ ებრაელის გვამი ახლა უნახავთ ხოხსა და მაღლაკს შუა მჭრქებში მიგდებული. როგორც სჩანს, ებრაელი ჯერ გაუცარცვავთ, შემდეგ მოუკლავთ და პირზე ტომარა გადაუფარებიათ.

გეჭვდითი საქმის მუშათა პავშირის წარმოებიდან

პატრონთა შორის მოლაპარაკება ტარიფის მომატების შესახებ.

1918 წ. 18 ნოემბერს ბეჭდითი საქმის მუშათა კავშირმა ყველა გამომცემლებს, სტამბებს და ლიტოგრაფიებს გაუგზავნა შემდეგი წერილი:

„ამა წლის 17 ნოემბრის ბეჭდითი საქმის მუშათა საზოგადო კრებამ დადგენილების თანახმათ ბეჭდითი საქმის მუშათა პროფესიონალური კავშირის გამგეობა წინადადებას აძლევს ტიპო-ლიტოგრაფიებს, მკინძავებს და კოლოფთა წარმოების პატრონთ დაიწყონ მოლაპარაკება პროფ. კავშირის გამგეობასთან 1918 წ. 1 დეკემბრიდან აღნიშნულ წარმოებათა მუშებს და მოსამსახურეებს სამუშაო ქირის მომატების შესახებ. მუშების კრებამ დაადგინა წინადადება მიეცეთ გაადიოს სამუშაო ქირა შემდეგნაირათ: ის, ვინც ღებულობს ეხლა ჯამაგირს 400 მანეთზე ნაკლებს, მოემატოს—40 პროც., ის, ვინც ღებულობს 400 მან. ზეტს—მიემატოს თვიურათ თვითეულს—250 მან. საკითხის გამოსარკვევათ გამგეობა წინადადებას გაძლევთ გამოცხადოთ თქვენ გამგეობის სხდომაზე ორშაბათს, 25 ნოემბრის საღამოს 7 საათზე პროფ. კავშირის ბინაზე, ელისაბეთის ქუჩა № 14 ოთ. 9. თავმჯდომარე ივანოვი, მდივნის მაგიერ ხ ა რ ა ბ ი ა ნ ი.

1918 წ. 25 ნოემბრის შეერთებულ სხდომაზე, რომელსაც დაესწრნენ: ბეჭდითი საქმის მუშათა კავშირი, სტამბების, ლიტოგრაფიების პერიოდიული გამოცემების პატრონები და შრომის კოალისია ბ. ელბაქიანი, დაინტერემებულ მხარეთა შორის მოხდა აზრთა გაცვლა—გამოცვლა და საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა, რომ წარმოების პატრონთ მიეღოთ საშუალება ერთმანეთს მოლაპარაკებოდენ და კავშირისათვის რაიმე კონკრეტული წინადადება მიეცათ.

1918 წ. 28 ნოემბერს ბ. ვ. ი. ჯაგანოვმა კავშირს წარუდგინა წარმოების პატრონთა შემდეგი პასუხი:

„1918 წლის 27 ნოემბრის, პერიოდული გამოცემის, სტამბების და ლიტოგრაფიის პატრონებმა განიხილეს ბეჭდითი საქმის-მუშათა პროფესიონალური კავშირის 1918 წ. 18 ნოემბრის მოთხოვნილება № 459 და ის მოტივები, რომელზეც ეყრნობოდენ 1918 წ. 25 ნოემბრის სხდომაზე და იცნეს, რომ მოთხოვნილებანი სამუშაო ქირის მომატების შესახებ 40 პროც. მათთვის, ვინც თვეში 400 მან. ნაკლებს ღებულობს და 250 მანეთით მათთვის, ვინც 400 მან. ზეტს ღებულობს თვეში, არ შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს მწარმოებელთა მიერ შემდეგ მოსაზრებათა გამო.

1) ბეჭდითი ნაწარმოები, წიგნები, ბროშურები, ბლანკები, ჟურნალები და სხვა ეგრეთ წოდებული საკანტორო და საკანცელარიო ნივთები პრეკეი საპროფის პროდუქტებს არ წარმოადგენს.

2) დროული გამოცემანი—ყოველდღიური და არაყოველდღიური გაზეთები, ჟურნალები და სხვა, თუმცა თავის ხასიათით მასიური მოხმოვნილების საგანს უახლოვდება, მაგრამ პირველ საპროფის საკანს შინც არ წარმოადგენს.

3) უზარმაზრათ ფასის აწევას მასალებზე: ქაღალდზე, საღებავზე, ზეთზე, ნავთზე, ბენზინზე, მუშა ხელზე, შრომის ნაყოფიერების დაცემასთან ერთად თან მოჰყვა პირველ და მეორე მუხლში აღნიშნულ ბეჭდითი ნაწარმოებზე საგრძნობლათ ფასის აწევა.

4) აღნიშნულ მასალების ზოგჯერულ ფასებზე თავის დროზე მიუღებლობა, განთვებისათვის და მანქანების—მექანიზმების ასამუშავებლათ ელექტროს ენერგიის თავის დროზე მიუცემლობა, იწვევს მუშობის შეჩერებას და მწარმოებელთ იძულებულს ხდის გაიძახოს დიდი ფული მუშების უსაქმოთ გაჩერებაში და აგრეთვე იმ ზედმეტ საათებში, რომლისთვისაც ორმაგი ქირა ჭირეთათ.

5) სახელმწიფოებრივი გადასახადების გაზრდა, საქალაქო საგრძნობ გადასახადის დაწესება, დაზღვევის, საავთმყოფოს და სხვა სახელწოდების კასებში ფულის გადარიცხვის გადიდება და სხვა ზედნართი და არამწარმოებელი ხარჯების ბეჭდითი საქმის ნაწარმოების მძიმე ლოდათ აწევება.

6) ყველა აღნიშნულმა მიზეზმა გამოიწვია შეუძლებელი და მიუღებელი მხმარებლისათვის ბეჭდითი ნაწარმოების გაძვირება და ამან კი გამოიწვია ის, რომ სტამბებს ნაკლები სამუშაო მოსდის და დროული გამოკვებაც ტარაჯი კი ძლიერ დაეცა.

7) აღნიშნულ მიზეზთ გარდა, ბეჭდითი ნაწარმოების მხმარებლთა მიერ შეცირება მოხდა ეგრეთვე, სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ დაწესებულების ლიკვიდაციის, შტატების დაშლის და მხარედან მრავალ რუს მკითხველების წასვლის გამო.

8) საფოსტო დამოკიდებულების გაწყვეტამ სხვა ქალაქების მოთხოვნილება და ხელის მოწერა შესწყვიტა.

9) ბანკებიდან ნაღდი ფულის მიღების შეუძლებლობამ და ამავე დროს ყველა მასალაზე, პროდუკტებზე და სამუშაო ქირაზე ნაღდათ ფულის მოცემამ, ბანკებმა აკტიურ ოპერაციების შეჩერებამ მინიმუმამდე შეამცირა მათი სატრიალებელი თანხა.

10) ბეჭდითი საქმის მოსამსახურეთა და სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ და სხვა დაწესებულებათა მოსამსახურეების ჯამაგირების შედარება გვიჩვენებს, რომ ჭაობაჭის ცხოვრების სხვა დანარჩენ თანასწორ პირობებში ბეჭდითი საქმის მუშებს შეუდარებლათ მეტი ეძლევათ.

11) მათ შრომაზე ეზღა კიდევ ფასის მომატება გამოიწვევს ბეჭდითი ნაწარმოების გაძვირებას, მაზე მოთხოვნილების შემცირებას და ამასთან ერთად წარმოების რაცხვის შემოკლებას, რაც ეუქნელი გამოწვევს მუშა ხელზე მოთხოვნილების შემცირებას და ამ სპეციალობის უმუშევრობა რაცხვის გაზრდას.

ყველა ზემოთ აღნიშნულმა მოსაზრებამ გადაგვაწყვეტინა ჩვენ, რომ ვიწინაც ვაწარმოებთ ბეჭდითი საქმე და ხელს ვაწერთ აქ, ვერ დავაკმაყოფილოთ მათი მოთხოვნილება. იმ შემთხვევაში, თუ ბეჭდითი საქმის მუშათა პროფესიონალური კავშირი არ დაეთანხმება აღნიშნულ გადაწყვეტილებას, მწარმოებელნი წინადადებას აძლევენ საკითხი გადასწყვეტად გადატანილ იქნეს ცენტრალურ მომრიგებელ კამერაში“.

ამ დადგენილებას ხელს აწერენ შემდეგი სტამბების, ლიტოგრაფიების და პერიოდული გამოცემების წარმომადგენლები: 1) სამხედრო სამინისტროს უფროსი, 2) საქართველოს მთავრობის სტამბის გამგე, 3) საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის გამგე, 4) კ. პ. კობლოვსკის მემკვიდრეების სტამბის გამგე, 5) ზაბაზიანცის გამგე, 6) ვიტენბონის სტამბის გამგე, 7) გაზეთ „ამხანაგოროის“ გამგე, 8) სტამბა „პროგრესის“ გამგე, 9) გაზეთ „ედინენიეს“ გამგე, 10) გაზ. „გრუზიის“ რედაქტორი, 11) გაზეთ „რეჩის“ რედაქტორი, 12) გაზეთ „სანატრო საქმის“ გამგე, 13) სტამბა „სორაპანის“ გამგე, 14) გაზ. „შაკის“ სტამბის გამგე, 15) კალატის სტამბის პატრონი, 16. სტამბა „მამელის“ გამგე, 17) დეშრონის სტამბის გამგე, 18) სტამბა „კულტურის“ გამგე, 19) „ტიფლისკი ლისტოკის“ სტამბის პატრონთა წარმომადგენელი, 20) „კავკაზსკოე სლოვოს“ სტამბის პატრონთა წარმომადგენელი, 21) გაზეთ „ეროვნორი ძაინის“ წარმომადგენელი, 22) „სახალხო საქმის“ სტამბის წარმომადგენელი, 23) „საქართველოს ამხანაგობის ბეჭდის“ საქმეთა გამგე, 24) გაზ. „ნორპორიზონის“ სტამბის გამგე, 25) სამხედრო სამინისტროს ადმინისტრატიული განყოფილების სტამბის გამგე. 26) თარუმოვის სტამბის გამგე და 27) „თეატრი და ცხოვრების“ სტამბის გამგე.

პროფესიონალურმა კავშირმა უარჰყო მწარმოებელთა წინადადება 29 ნოემბრის წერილით, რომელიც გაეგზავნა მწარმოებელთა წარმომადგენელს ბ. ჯაგანოვს.

„თქვენ მიერ გამოგზავნილ განცხადებაზე ბეჭდითი საქმის მუშათა პროფ. კავშირის გამგეობა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის სამუშაო ქირის მომატების შესახებ, უცხადებს ქვემოთ მოყვანილ ყველა მწარმოებელთ, რომელთაც ხელი მოაწერეს თქვენს განცხადებაზე: 1) ტარიფის მომატებაზე მწარმოებელთა მიერ უარის თქმას გამგეობა დაუკმაყოფილებლად სთვლის, რადგან 25 ნოემბრის შეერთებულ სხდომაზე დადგენილი იქნა, რომ ზამთრის პირობლივების გამო მუშები განიცდიან დიდ გაჭირვებას და მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ერთად ერთი საშუალებაა ტარიფზე მომატება. 2) მწარმოებელთა წინადადება, რომ საქმე გასარჩევად გადაეცეს ცენტრალურ მომრიგებელ კამერას, მიუღებელია,

რადგან კამერას არ შეუძლიან ეს საქმე გაარჩიოს დეკემბრის მოლმდე ან იანვრის დასაწყისამდე, მაშინ როცა მუშები გაჭირვებაში არიან ცხლა. მწარმოებელთა წინადადება, რომ საკითხი გადაეცეს სომრიგებელ კამერას გულისხმობს ჯამაგირის მომატებას კამერის დადგენილების თანახმად, ვინაიდან მომრიგებელი კამერა სწყვეტს საკითხს არა ერთი ხრის სასარგებლოდ, არამედ კომპრომისის გზით ათანხმებს ორივე მხარეს. ამიტომ პროფ. კავშირის გამგეობა პირველ დეკემბრიდან ტარიფზე ჩომატების საკითხის შესახებ წინადადებას გაძლევთ დაიწყოთ მოლაპარაკება გამგეობასთან, რადგან დაინტერესებულ მხარეთა, ანუ მწარმოებელთა და კავშირის გამგეობის პირდაპირ მოლაპარაკებას შეუძლიან მიგვაყენოს დადებით შედეგამდე უფრო მოკლე დროში, ვინემ ამას იქმს მომრიგებელი კამერა.

პროფ. კავშირის გამგეობა ამ დანესებადებაზე მწარმოებელთაგან თხოვოებს პასუხს ანა უგვიანეს 2 დეკემბრისა 1918 წ. იმ შემთხვევაში თუ მწარმოებელნი პროფ. კავშირის გამგეობასთან მოლაპარაკებაზე უარს იტყვიან, კავშირის გამგეობა მოქმედების სრულ თავისუფლებას იტოვებს".

სტამბის პატრონებმა გაუგზავნეს ბეჭდითი საქმის მუშათა კავშირს შემდეგი პასუხი:

„1918 წლის დეკემბრის 3-ს ქვემორე ხელის მომწერლებმა, სტამბებმა, ლიტოგრაფიებმა და გამომცემლებმა განვიხილეთ რა ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირის წერილი, გამოგზავნილი გ. ი ჯანგაგოვის სახელზე, რომელიც ამ წლის 29 ნოემბრიდან ითვლება მწარმოებელთა წარმომადგენელად და აცნობებს წარმოების პატრონთ, რომ მიუღებელია მათი წინადადება ჯამაგირების მომატების შესახებ, მოითხოვნილება გადაეცეს განსახილველათ ცენტრალურ მომრიგებელ კამერას, სცნეს ეს წინადადება მიუღებლათ.

წარმოებათა წარმომადგენლები ამ წლის 25 ნოემბრის სხდომაზე ვერ მივიდნენ დასკვნამდე იმის შესახებ, რომ მმეტდაკი საქმის მუშების ნიჭიერი მდგომარეობა უფრო უარესი იყოს, ვინემ სხვა დაწესებულებების მუშათა და მოსამსახურეების მდგომარეობა, ე. ი. სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებების მუშებისა.

მწარმოებელნი ვერ იზიარებენ კავშირის იმ აზრს, ვითომც ერთად-ერთი საშუალება მუშების მდგომარეობის გაუმჯობესებისა იყოს მუდმივათ ტარიფის მომატება და საკითხის ასეთ გადაჭრას აღიარებენ უმართებულოთ, რადგანაც მას მოყვება საწარმოო პროდუქტების გაძვირება, რომელსაც შედეგათ მოყვება წარმოებათა დახურვა, რომელიც უფრო გაამრავლებს უმუშევართა რიცხვს და დიდ ზარალს მოუტანს სახელმწიფოს, რადგანაც შემცირდება მისი მაწარმოებელი ძალები.

არც ის არის მართალი, ვითომც ცენტრალური მომრიგებელი კამერა მაღე არ განიხილავს საკითხს: თუ დაბეჭითებითი მოთხოვნა იქნა მომრიგებელ კამერაში რიგ გარეშე, სასწრაფოთ იქნება განხილული საკითხი.

არავითარი გარანტია არ არი იმისა, რომ მომრიგებელ კამერის გარეშე მოლაპარაკება მოგვცემს უკეთეს შედეგს და გათავდება საქმე მომრიგებელ კამერაში გადაუტანლათ, რაც სრულიათაც არ დაიჩქარებს საქმეს.

ამისათვის მწარმოებელნი ისევ თავის გადაწყვეტილებას იდგებენ და დაბეჭითებით მოითხოვენ მომატების შესახებ საკითხი მომრიგებელ კამერის მიერ იქნეს განხილული".

დანარჩენ მოლაპარაკების მსვლელობის შესახებ ბეჭდვითი საქმის წარმოების პატრონები აცნობებენ ბეჭდვითი საქმის მუშათა კავშირს.

განცხადებები

მედიცინის დოქტორი

ბერლინის უნივერსიტეტის

გ. გ. მეგრაგიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. ღილს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი საღერძით და არსენალის ტკეპი ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

624. 18—17.

დრამატიული საზოგადოების

გამგეობის თავმჯდომარე

ამით აცნობებს, რომ ამა წლის 15 დეკემბერს დანიშნული საზოგადო კრება აღნიშნული საზოგადოებისა. 1092 12—3

ექიმი ი. კ. აგაკელია

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ-მხრივ ჭლექისა სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე.

ჰეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.

№ 719.

იბეჭდება და მალე გამოვა

ინჟ. ვ. კაკაბაძის წიგნი

„ინჟ. ვ. კაკაბაძის წიგნი „მრეწველობის განვითარების საკითხი ჩვენში".

ფას. 1136 1—1

საღებავი მასტერიის

შავი, ბორდო და სხვა და სხვა ფერების იყიდება. მისამართი: მაღაზია „კონკურენცია" ოლღას ქუჩა № 3. 1125 2—2

ამერიკის ქვეშერდომი, ხოსროვ გე-ხაჩატურიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 17755 მიცემული ვაშინგტონში.

1117 3—2

ალექსანდრე ივანეს ძე ჩეკურაშვილი აცხადებს დროებითი მოწმობის დაკარგვას, რომელიც ჰქონდა მიღებული ტფილისის სამხედრო უფროსისგან 17 იანვარს 1918 წ. № 86657, რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.

1127 3—2

დავკარგე მოწმობა № 2 (ატესტატი) 1914 წ. ზუგდიდის 6 კლასიან სამოქალაქო სასწავლებლისა. ვთხოვ მნახველს გამომიგზავნოს ამ მისამართით; ს. ხეთა, ზუგდიდის მაზრა ქუთაისის გუბერნია, კოლია კვანტანას-ძე ბუკაია.

1114 3—3

დეკანოზი დავით უტარნოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი № 1586, მიღებული 21 ივლისს, 1914 წ.

1119 3—2

ვლადიმერ ისიდორეს ძე ავსიუკევიჩი აცხადებს, რომ მან სად. აჯი-ჭაბულზე დაჰკარგა დოკუმენტები: ატესტატი ტფილისის მეორე უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში კურსის დამთავრებისა და მეტრიკა. 1111 3—2

სასხლის სამართლის საქმეთა წარმოების მე-846,847, 848, 851 მუხ. თანახმად, ტფილისის ოლქის სასამართლოს დადგენილებით, ქმებენ ს. სვეტლი იარის, ასტახანის გუბ. მცხოვრებს ივანე ვასილის-ძე რუდაკოვს, რომელიც დროებით ცხოვრობდა ნიკოლოზის ქუჩაზე, № 112 და რომელსაც ბრალი ედება ჯან. დებ. 989 და 1466 მუხ. თანახმად. რუდაკოვი 28 წლისა, მაღალი. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს რუდაკოვი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულება, რომელთა განკარგულებაშიც აღმოჩნდება რუდაკოვის ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეატანონ სამართველოში.

1080 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. აგვისტოს 26 დამტკიცებულია, ამა წლის ივლისს 26 შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ეკატერინე სამონის ასულმა ფორკევიჩმა 2.000 მ. მიჰყიდა ნეტრო ტოტას ძე ჰაპაშვილის მიწის ნაკვერი შენობებით ქ. ქუთაისში, ზომით 213 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 800 მან. შთაგარი ამონაწერი 100 მან. ღირებულების საღერძო ქალაქდნე მიცემულია 26. 1100 1-1

ქ. ტფილისის მცოთხე მოიჯარეებელ განყოფილების მოსამართლე, იწვევს 1918 წ. აპრილის 5 გარდაცვალებულის მოქალ ეროვნის ძე ბაგინიანცის შემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავიანი უფლება ბაგინიანცის ქონებაზე მეათე ტ. 1 ნ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვალდებულებაზე. 1109 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. აგვისტოს 29 დამტკიცებულია, ამა წლის 11 ივნისს შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც სოფრო ივანეს ასულმა ხაინდრავამ 5.000 მან. მიჰყიდა ელისაბედ ივანეს ასულს ხითარიანის მიწის ნაკვერი შენობებით ქ. ქუთაისში, ზომით 61 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 200 მან. მთავარი ამონაწერი 25 მანეთი ღირებულების საღერძო ქალაქდნე მიცემულია ამა წლის აგვისტოს 29. 1099 1-1

ვლისაბედ ლაზარეს ძე რწმუნებული ს. მარგულეთი აცხადებს, რომ დაიკარგა ტფილისის ნოტარიუს ა. მამიკონიის 1887 წ. აქტის წიგნიდან ამონაწერი 1 ნ., 59 გვ., № 90, რომელიც აღნიშნულია ტფ. ოლქ. სასამ. უფროს ნოტარიუსის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში 1887 წ. სექტ. 16. ქ. ტფილისის პირველ განყოფილებაში, ნუსხის № 1103, ელისაბედ ლალაევის სახელზე მამულის გადასვლისა, თანახმად ანდერძისა, რომელიც სისრულეში მოსაყვანად დაამტკიცა ბაქოს ოლქის სასამართლომ 1913 წ. ოქტ. 8. 1124 3—1

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. ოქტომბრის 2 დადგენილებით, დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი ივანე მიხეილის-ძე მასანკოვისა. 1078 1—1

ქ. ჯიათურის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მუხ. სამსჯავროო წესდებისა, იწვევს 20 მარტს 1918 წ. გარდაცვალებულს, მცხოვრების სოფ. შუქრუთში, შორაპნის მაზრისა, ტასია ოტარ ასულის ტყემალაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ტყემალაძის ქონებაზე კან. კრებ. X ტ. 1 ნ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვალდებულებაზე. 1112 3-1

ქ. ჯიათურის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 1401 მუხ. სამსჯავროო წესდებისა, იწვევს 4 მარიამობისთვეს 1915 წ. გარდაცვალებულს, მცხოვრების სოფ. დარკვეთში, შორაპნის მაზრისა, სოლომონ მიქელას ძე ლულუნიშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება გარდაცვალებულის ლულუნიშვილის ქონებაზე კან. კრებ. X ტ. 1 ნ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვალდებულებაზე. 1110 3—1

საქართველოს რესპუბლიკის ტფ. საგუბერნიო გათალიონი

იწვევს იმ პირთ, რომლებსაც სურთ იჯარით აიღონ ბათალიონის ოფიცერთა და ჯარისკაცთათვის ხორცის და ქონის ძიწოდება. ვაჭრობა დანიშნულია დეკემბრის 9-ს, დღის 1 საათზე, ბათალიონის კანცელარიაში, რომელიც მითავსებულია კაკალისის ფერმაში მდებარე პოლკის ყაზარმებში, ბ. 9 უბ., ანტონიევის ქ. ვისაც ვაჭრობა სურს, უნდა შემოიტანოს განცხადებები კომანდირის სახელზე დაბეჭდილ პაკეტებში 5000 მან. სანიმუშოდ. კონვერტზე უნდა გწეროს: „1918 წ. დეკემბრის 9 ვაჭრობისათვის". ვაჭრობა დაიწყება დღის 12 საათზე შეოტანილი განცხადებებით და საწინდრებით. ვაჭრობა გაუმეორებელათ. პირობების გაგება შესრულება შეუძლიანთ ბათალიონის კანცელარიაში, ყოველ დღე, დილის 10—3 საათამდე.

2—1. 1127. ტფილისის გუბ. ბათალიონის უფროსი კაპიტანი კ ა ნ ა ნ ო გ ი.

ტფილისის საურთიერთო დაზღვევის საზოგად. გაგეგმება

ბბ. წევრთა საყურადღებოდ აცხადებ, რომ კვირას, დეკემბრის 8-ს, დღის 11 საათზე, საზოგადოების გამგეობის ინიციატივით (ეკონომიურის ქ. № 10) ჰოსდება არაჩვეულებრივი საზოგადო კრება წესდების შეცვლისპროექტის განსახილველად და მომდინარე საკითხების გასარჩევად. 1—1

1129

ტფილისის ვაჭართა განკის გაგეგმება

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ბანკის აქციონერთა არაჩვეულებრივი საზოგადო კრების 1917 წ. დეკემბრის 17 დადგენილების თანახმად და ფინანსთა მინისტრის ნებადართვით, ბანკი იღებს თავის თავზედ **10.000.000 მანეთიდან 20.000.000 მანეთამდე.** ახალი აქციების გამოცემის საშუალებით: 40.000 აქცია თითო 250 მან. სულ 10.000.000 მან. დაიყოფილი გამოსაცემში ორათ გამოიცემა: ნახევრი—20.000 აქცია გამოიცემა ეხლავე, ფასით. ახალი აქციები ორათ გამოიცემა: ნახევრი—20.000 აქცია გამოიცემა ეხლავე, მეორე ხახევარი კი ნომრებზედ წლები, პირველის გასვლიდგან 3 წლის შემდეგ. ამის გამო ბანკი ამ ჟამად იღებს აქციების მესამე ნაწილის გამოცემას, 20.000 ცალი აქცია თითო 250 მან. სულ 5.000.000 მან. დაიყოფილი ფასით. ეხლანდელ აქციების ხელის მოწერა შეიძლება ბანკის გამგეობაში, ტფილისში (ერეკლის მოედანი, № 3), ბანკის განყოფილებაში: ბაქოში, განჯაში, ეკატერინოდარში და აგრეთვე ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში; ქუთაისში, ზუგდიდში და ოზურგეთში ხელის მოწერა დაიწყება 4 დეკემბრიდან და გაგრძელდება დეკემბრის პოლომდე; დაიხურება დეკემბრის 30 (ახალი სტილით), დღის 1 საათზე. ელანდელი აქციების მესამე გამოცემა მოხდება შემდეგ წესით: 1. აქციები გაიცემენ ფასი 333 თანეთი თითეული, რომელიც ხელის მოწერის თანავე უნდა იქნეს შეტანილი; 2. აქციების განაღდებით ეკონომიურ 6.700.000 მანეთიდან ა. 5.000.000 ათ. გადდიდება შესახან თანხაში, რომელიც გადდიდება 15.000.000 ნაზ. 3. 1.500.000 ახ. საათანადოდ ამ ნაწილის და გ. 200.000 მან. აქციების დასამზადებლად და მათი საღებავი ასეთ პატრონის, რომელსაც პირველი ან მეორე გამოცემის აქციები აქვს იმდენი, რომ თითეულ ახალ აქციაზე ხუთ ძველი აქცია. 4. ნესაც გამოცემის ახალი აქციები შეიძლება მიიღოს მხოლოდ ის, ვისაც აქციები აქვს 1919 წ. დივიდენდები და შეიდეგ ამ აქციებით თანასწორია. 5. აქციონერები ვალდებული არიან ხელი მოაწერონ დროს განსაზღვრებასთან ერთად წარმოადგინონ თავისი ძველი აქციები, ოთა ბანკმა მისაფერი ზედნები დასცეს მათ. 6. ის პირნი, რომლებიც 30 დეკემბრის აქციები, ოთა ბანკმა მისაფერი ზედნები დასცეს მათ. 6. ის პირნი, რომლებიც 30 დეკემბრის 1 საათამდე არ წარმოადგენენ ასეთ განცადებებს აქციებით ან დროებითი მოწმობებით, ან და 1 საათამდე არ წარმოადგენენ ასეთ განცადებებს აქციებით ან დროებითი მოწმობებით, ან და ამ ვადის თვის არ შეტანენ ახალ აქციების სრულ ფასს, ახალ გამოცემის აქციების შეძენის უფლებას ჰკარგავენ. 7. იმ აქციონერთა დაკმაყოფილების შედეგ, რომლებიც მოისურვებენ აქციების მიღებას ისეთ ოდენობით, რომ ყოველ ორ ძველ აქციაზე მიიღოს ერთი ახალი აქცია, თუ ასის შედეგ დარჩა ახალი გაუნაწილებელი აქციები, ისინი განაწილებული იქნება ძველ აქციების მეპატრონეთა შორის, რომლებმაც ხელის მოწერის დროს, უნდა შემოიტანონ ბანკის სახელზე განსაკუთრებული განცხადება, რომ მათ სურთ მიიღონ აქციების განსაზღვრული რიცხვი, თუ ასეთ განსაკუთრებულ განცხადებებს არ შემოიტანენ აქციონერები, კარგალი რიცხვი, თუ ასეთ განსაკუთრებულ განცხადებებს არ შემოიტანენ აქციონერები, კარგალი რიცხვი სტატ იქნა დარჩენილ აქციათა განაწილებაში. თუ მოხვედრილი ძველ აქციების რაოდენობის ასეულზე, აქციები განაწილდება წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე. 8. ფულის შეტანის აქციონერებს მიეცემათ ბანკიდან სათანადო დროებითი მოწმობები, რომლებიც აქციების დამზადების შემდეგ აქციებით იქნება გაცვლილი. დანარჩენ 20.000 აქციათა გამოცემის ვადა და პირობები ცალკე იქნება გამოცხადებული.

1091 3-2

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.

სტამბა საქართველოს მთავრობისა.